# ურთიერთშეთანხმება

## №02-27/01

### (2016 წლის 26 დეკემბრის №02-27 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ)

**ქ. თბილისი** **23 მაისი 2017 წ.**

2016 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02-27 ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება") მხარეები, ერთი მხრივ, **სსიპ „იუსტიციის სახლი"** შემდგომში - „შემსყიდველი", წარმოდგენილი **აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის (ფინანსების დირექტორი) ავთანდილ კოხრეიძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „რომპეტროლ საქართველო"** შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი **გენერალური დირექტორის ზამანბეკ მირზაიანოვის** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $20^2$ მუხლის,** „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანების, „2016 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის №2584 განკარგულების, 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის - **დიზელი (არაუმეტეს 10 PPM) გატანა ავტოგასამართი სადგურიდან** სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე და ზემოხსენებული ხელშეკრულების მე-8 მუხლის მე-8.1 პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველის ინიციატივით წერილობით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების 2.2 პუნქტი შეიცვალოს ფაქტობრივად შესყიდული საქონლის მიხედვით და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„2.2 ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საწვავი: *Efix Euro Diesel* რომლის მოცულობა შეადგენს *2390 (ორი ათას სამას ოთხმოცდაათი)* ლიტრს."**

2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„3.1 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3725,10 (სამი ათას შვიდას ოცდახუთი ლარი და 10 თეთრი)ლარს."**

3. ხელშეკრულების დანართი №1 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული სახით;
4. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელი;
5. წინამდებარე ურთიერთშეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ძირითად ხელშეკრულებასთან ერთად;
6. წინამდებარე ურთიერთშეთანხმება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი -„მიმწოდებელთან".
7. **მხარეთა ხელმოწერები:**

**შემსყიდველი:**

**სსიპ „იუსტიციის სახლი"**
**მის:** ქ. თბილისი, სანაპიროს ქN2
**საბანკო რეკვიზიტები:**
**მიმღები ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა
**მიმღების დასახელება:** ხაზინის ერთიანი ანგარიში
**კოდი**: TRESGE22
**მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:** 707467520
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 204580202

---------------------------------
**ავთანდილ კოხრეიძე**
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
(ფინანსების დირექტორი)

**მიმწოდებელი:**

**შპს „რომპეტროლ საქართველო"**
ს/კ 204493002
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT660000000903036602

---------------------------------
**ზამანბეკ მირზაიანოვი**
გენერალური დირექტორი

დანართი №1

2016 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულება №02-27

| № | საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | წარმოშობის ქვეყანა | თვე | რაოდენობა, ლიტრი (თვეების მიხედვით) | ერთეულის ფასი, ლარი (თვეების მიხედვით) | საერთო ღირებულება | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Efix Euro Diesel | არაუმეტეს PPM 10 | რუმინეთი | იანვარი | 1810 | 1.43 | 2588.3 | ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვით | 01.01.2017-დან 31.03.2017-ის ჩათლით |
| 2 | | | | თებერვალი | 130 | 1.96 | 254.8 | | |
| 3 | | | | მარტი | 450 | 1.96 | 882 | | |
| სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით: | | | | | | | 3725.10 | | |

*შემსყიდველი:*

**სსიპ „იუსტიციის სახლი“**
**მის:** ქ. თბილისი, სანაპიროს ქN2
**საბანკო რეკვიზიტები:**
**მიმღები ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა
**მიმღების დასახელება:** ხაზინის ერთიანი ანგარიში
**კოდი:** TRESGE22
**მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:** 707467520
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 204580202

-----------------------------------
**ავთანდილ კოხრეიძე**
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე (ფინანსების დირექტორი)

*მიმწოდებელი:*

**შპს „რომპეტროლ საქართველო“**
ს/კ 204493002
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602

-----------------------------------
**ზამანბეკ მირზაიანოვი**
გენერალური დირექტორი